ა(ა)იპ გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტი

ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)

პროგრამის ხელმძღვანელი:

ასოც. პროფესორი თამარ ჩხეიძე

1. პროგრამის სახელწოდება:

მუსიკოლოგია (ქართული ტრადიციული მუსიკა)

2. მისანიჭებელი კვალიფიკაციები:

- საეკლესიო მუსიკის მოდულისთვის - **სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში**
- ეთნომუსიკოლოგიის მოდულისთვის - **სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში**

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ECTS 120 კრედიტი

- სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი
- საეკლესიო მუსიკის მოდული- 60 კრედიტი
- ეთნომუსიკოლოგიის მოდული - 60 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი

4. სწავლების ხანგრძლივობა: 2 აკადემიური წელი, 4 სემესტრი. აკადემიური წელი შედგება 2 სემესტრისგან და მოიცავს 30 კვირას. სასწავლო სემესტრის ხანგრძლივობაა 15 კვირა.

5. სწავლების ენა: ქართული

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად კანდიდატს უნდა ჰქონდეს:

- შესაბამისი ან მომიჯნავე მიმართულების ბაკალავრის კვალიფიკაცია ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა - შემოქმედებითი ტური;
- გამოცდა უცხო ენაში (ინგლისური B1);
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების,

მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

7. დასაქმების სფერო:

კურსდამთავრებული მაგისტრები დასაქმდებიან სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში, უმაღლეს და საშუალო რგოლის შესაბამისი პროფილის საგანამანთლებლო დაწესებულებებში, ტელე-მედია სივრცეში, სამეცნიერო-საგამომცემლო რედაქციებში, საქართველოს საპატრიარქოში, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ფოლკლორის ცენტრში. პროგრამა იძლევა სწავლას გააგრძელებენ უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე, შესაბამისი ან მონათესავე სპეციალობის სადოქტორო პროგრამაზე.

8. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- ქართული ტრადიციული მუსიკის თეორიის, ისტორიისა და ეთნომუსიკოლოგიის მიმართულების ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დარგობრივი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის მომზადება, რომელსაც ექნება საეკლესიო მუსიკის ისტორიის, თეორიისა და ეთნომუსიკოლოგიის სფეროში საფუძვლიანი, სიღრმისეული ცოდნა, დაფუძნებული ქართული ტრადიციული მუსიკის სისტემურ შესწავლაზე;
- უზრუნველყოს დარგის მაღალკვალიფიციური მკვლევრის მომზადება, რომელიც ფლობს ქართული ტრადიციული მუსიკის სფეროში კვლევის უახლეს მეთოდოლოგიას, შემოქმედებით და სამეცნიერო აზროვნების პრინციპებს და შეუძლია სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიის (უპირატესად მართლმადიდებლური) გალობის და სხვადასხვა ხალხთა სამუსიკო ტრადიციების შესწავლის საფუძველზე აწარმოოს შედარებითი და ანალიტიკური კვლევა;
- მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობით დამოუკიდებელი მუშაობა, სხვა ხალხთა სამგალობლო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების სისტემური შესწავლა, გაზიარება და პატივისცემა.

9. სწავლის შედეგი

მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება კურსდამთავრებულს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღმწერით განსაზღვრული სწავლების მეშვიდე დონისთვის დამახასიათებელი ცოდნის, უნარის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი კომპეტენცია და სწავლების ბოლოს წარადგენს და დაიცავს შესაბამისი სტანდარტების მქონე სამეცნიერო კვლევით ნაშრომს.

ცოდნა და გაცნობიერება	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.	• სიღრმისეულად მიმოიხილავს ქართული ტრადიციული მუსიკის თეორიას, განვითავრების ისტორიას, საეკლესიო მუსიკისა და ეთნომუსიკოლოგიის საკითხებს; • კრიტიკულად იაზრებს და განიხილავს ჰიმნოლოგიის, პალეოგრაფიის, მსოფლიოს ხალხთა მუსიკის, მითოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ლიტურგიკული და დოგმატური ღვთისმეტყველების საკითხების მიმართებასა და ურთიერთკავშირს ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან; • სისტემურად აღწერს და მიმოიხილავს მუსიკოლოგიური კვლევის თეორიულ და ემპირიულ მეთოდებს, მათ შორის, საეკლესიო მუსიკოლოგიის და ეთნომუსიკოლოიგიის სფეროში კვლევის უახლეს მეთოდოლოგიასა და პრინციპებს.
უნარი	უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა,	• სიღრმისეულად მსჯელობს საეკლესიო მუსიკისა და ეთნომუსიკოლოგიის თვისებრივ და საშემსრულებლო მახასიათებლებზე და მათი კვლევის პრობლემატიკაზე; • მაღალი პროფესიონალიზმის დემონსტრირებით, დარგობრივი კვლევითი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კომპლექსურ კვლევას ქართული სამგალობლო სკოლებისა და ხალხური სიმღერის ნიმუშების, საარქივო მასალების, ხელნაწერების, საგალობელთა გამოქვეყნებული კრებულების ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე; • ახდენს ტრადიციული მუსიკალური ნიმუშის კრიტიკულ ანალიზს, წინააღმდეგობრივი მონაცემების ინტერპრეტირებას, საკუთარი და სხვისი სამეცნიერო კვლევის, სტატიების, ნარკვევების შეფასებას, შესწავლილი მასალის საფუძველზე შეიმუშავებს არგუმენტირებულ დასკვნებს; • ამზადებს კრიტიკულ პუბლიკაციებს, კვლევით ნაშრომებსა და პრეზენტაციებს აკადემიური წერისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; • წარმართავს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომპეტენტურ და კოლეგიალურ კომუნიკაციას ეთიკის ნორმების

	როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.	დაცვით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.	• მულტიკულტურულ გარემოში ავლენს პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს, საკუთარი პროფესიული პრაქტიკის მაგალითზე ხელს უწყობს სხვა ხალხთა სამგალობლო კულტურისა და მუსიკალური ფოლკლორის ტრადიციების დაცვას; • დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარ და სხვათა შემდგომი სწავლისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს.

10. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სწავლება ხორციელდება შემდეგი სწავლა-სწავლების მეთოდებითა და ფორმებით: ლექცია, და პრაქტიკული მუშაობა, რომლებზეც გამოიყენება სწავლების აქტიური მეთოდები: დისკუსია, კითხვა–პასუხის სესია, კვლევითი ჯგუფი, პრეზენტაცია. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, დემონსტრირების, ანალიზისა და სინთეზის, ახსნა-განმარტებით მეთოდს და სხვა. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს ხელნაწერ ძეგლებზე მუშაობას, სტუდენტთა მომზადებას სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, ლექცია-კონცერტებში, ფესტივალებსა თუ სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობისთვის და სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებში ჩართვას; ამავე დროს, სწავლის პროცესი გულისხმობს მაგისტრანტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე დამოუკიდებელი, თვითსაგანმანათლებლო პროცესის აქტიურობას, რომელიც სპეციალური ლიტერატურის ინტენსიური გაცნობა-შესწავლით, საარქივო (ხელნაწერი) მასალების სისტემური შესწავლით, სამგალობლო საღვთისმსახურო პრაქტიკით ემპირიული გამოცდილების მიღებით უნდა განხორციელდეს.

11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით. შეფასების სისტემა არის ასქულიანი და მრავლკომპონენტიანი. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 _ 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 _ 80	C	კარგი
61 _ 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 _ 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 _ 40	F	ჩაიჭრა

სამაგისტრო ნაშრომის და დაცვის პროცედურის შეფასების კრიტერიუმები - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ნაშრომის მეცნიერული/პრაქტიკული ღირებულების შეფასება - 30 ქულა

- ნაშრომს გააჩნია მეცნიერული ან პრაქტიკული ღირებულება;
- შრომაში დასმული პრობლემატიკა აქტუალურია;
- ნაშრომის შინაარსი სრულად შეესაბამება მის სათაურს;
- დასახული მიზანი მიღწეულია და მასთან დაკავშირებული ამოცანები თანმიმდევრულად არის დასაბუთებული და გადაწყვეტილი;
- სამეცნიერო ლიტერატურა საფუძვლიანად არის დამუშავებული და დამოწმებული წყაროები სათანადოდაა მითითებული, როგორც ტექსტში, ისე თანდართული ლიტერატურის ნუსხაში.

2. ნაშრომის შინაარსის და სტრუქტურის შეფასება - 30 ქულა

- ნაშრომი სტრუქტურულად მწყობრია;
- მუსიკალური ტექსტის ანალიზი ფორმის და შინაარსის მხრივ პროფესიულად გამართულია, მსჯელობა დასაბუთებული და საფუძვლიანია;
- თავებს შორის აღინიშნება შინაგანი ბმულობა.
- დასკვნები ლოგიკური, განმაზოგადებელი და ანალიზიდან გამომდინარეა.

3. ნაშრომის ტექსტის გაფორმების შეფასება - 20 ქულა

- ტექსტი სტილისტურად და ენობრივად გამართულია;
- ნაშრომში არ აღინიშნება კორექტურული შეცდომები;
- ნაშრომის ტექსტის ტექნიკური გაფორმებისას დაცულია სათანადო ნორმები.

4. ნაშრომის დაცვის პროცედურის წარმართვის შეფასება - 20 ქულა

- ნაშრომის პრეზენტაცია გამართულია შინაარსობრივად და გამოყენებულია მისი თვალსაჩინოებისათვის საჭირო საშუალებები (PowerPoint Presentation სქემები, აუდიო-ვიდეო მასალა და სხვ.)
- მაგისტრანტს აქვს საკუთარი აზრის დასაბუთების, აგრეთვე ნაშრომთან დაკავშირებულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემის უნარი.

12. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო სასწავლო კურსები 45 ECTS									
N	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS კრედიტები	საკონტაქტო საათები		სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი			
						I	II	III	IV
			კვირეული	სულ					
1	დარგობრივი კვლევა-სემინარი 1	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
2	დარგობრივი კვლევა-სემინარი 2	5	2	32	დარგობრივი კვლევა-სემინარი 1		✓		
3	ქართული ტრადიციული მუსიკალური ენის თავისებურებები	5	2	32	წინაპირობის გარეშე		✓		
4	მართლმადიდებლური საგალობლის სტრუქტურულ-ინტონაციური თავისებურებები	5	2	32	წინაპირობის გარეშე		✓		
5	ეთნომუსიკოლოგია	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
6	აკადემიური წერა	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
7	ქართული ტრადიციული მუსიკის ანალიზის მეთოდოლოგია	5	2	32	დარგობრივი კვლევა-სემინარი 2 მართლმადიდებლური საგალობლისსტრუქტურულ-ინტონაციური			✓	

					თავისებურებები				
8	ინგლისური ენა 1	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
9	ინგლისური ენა 2	5	2	32	ინგლისური ენა 1		✓		
სავალდებულო არჩევითი მოდული - 60 ECTS საეკლესიო მუსიკა									
1	ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორია	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
2	ლიტურგიკული ღვთისმეტყველება	5	2	32	წინაპირობის გარეშე		✓		
3	დოგმატური ღვთისმეტყველება	5	2	32	ლიტურგიკული ღვთისმეტყველება			✓	
4	საეკლესიო მუსიკის ესთეტიკა	5	2	32	წინაპირობის გარეშე			✓	
5	სამუსიკო პალეოგრაფია	5	2	32	დარგობრივი კვლევა-სემინარი 1		✓		
6	კოდიკოლოგიის საფუძვლები	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
7	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევის გეგმა	10	2	32	დარგობრივი კვლევა-სემინარი 1 და 2			✓	
8	სამაგისტრო ნაშრომი	20	2	32	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევის გეგმა				✓
სავალდებულო არჩევითი მოდული - 60 ECTS ეთნომუსიკოლოგია									
1	მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორი 1	4	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
2	მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორი 2	4	2	32	მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორი 1		✓		

3	ქორეოლოგია	4	2	32	წინაპირობის გარეშე			✓	
4	საქართველოს ეთნოლოგია	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
5	საკრავიერი მუსიკა - პრაქტიკული კურსი	3	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
6	ქართული ზეპირსიტყვიერება	5	2	32	წინაპირობის გარეშე			✓	
7	საველე მუშაობის კვლევა და პრაქტიკა	5	2	32	ეთნომუსიკოლოგია		✓		
8	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევის გეგმა	10	2	32	დარგობრივი კვლევა-სემინარი 1 და 2			✓	
9	სამაგისტრო ნაშრომი	20	2	32	სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა - კვლევის გეგმა				✓
არჩევითი-თავისუფალი კრედიტები 15 ECTS									
1	კულტუროლოგია	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
2	საქართველოს არქეოქორეოგრაფია	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
3	საფერხულო წყობის ცეკვები	5	2	32	წინაპირობის გარეშე			✓	
4	კომპიუტერული ნოტაცია	5	2	32	წინაპირობის გარეშე			✓	
5	სადღესასწაულო საგალობლების ლიტურგიკულ-მუსიკალური ასპექტები	5	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
6	მუსიკოლოგიური სემინარები	5	2	32	წინაპირობის გარეშე			✓	
7	ქართველთა მითოლოგია	5	2	32	წინაპირობის გარეშე		✓		
8	ტრადიციული მუსიკის ნიმუშების გაშიფრვა 1	2	2	32	წინაპირობის გარეშე	✓			
9	ტრადიციული მუსიკის ნიმუშების გაშიფრვა 2	2	2	32	ტრადიციული მუსიკის ნიმუშების გაშიფრვა 1		✓		

13. სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის აუდიტორიები, ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, ბიბლიოთეკა, ხმისჩამწერი სტუდია და ინვენტარი. ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი უახლესი კომპიუტერული ტექნიკა სტუდენტებს მისცემს საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით და ხმისჩამწერი სტუდიით სარგებლობის შესაძლებლობას.

14. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები

პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის სასწავლო კურსით/კურსებით და პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

გვარი, სახელი	**აკადემიური თანამდებობა**
თამარ ჩხეიძე	პროფესორი
დეკანოზი მიქაელ (მერაბ) გალდავა	პროფესორი
დეკანოზი დავით (გელა) თავაძე	ასოცირებული პროფესორი
დავით შუღლიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
თეონა რუხაძე	ასოცირებული პროფესორი
გოჩა ბიძინაშვილი	ასისტენტ. პროფესორი
ეკატერინე ონიანი	მოწვეული სპეციალისტი

თამაზ გაბისონია	მოწვეული სპეციალისტი
ლიანა წურწუმია	მოწვეული სპეციალისტი
ოთარ ხაზალია	მოწვეული სპეციალისტი
ია ღადუა	მოწვეული სპეციალისტი
ეკატერინე ყაზარაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
მანანა ჟღენტი	მოწვეული სპეციალისტი
ჯიქი (სვიმონ) ჯანგულაშვილი	მოწვეული სპეციალისტი
თამარ ასათიანი	მოწვეული სპეციალისტი
ნინო ღამბაშიძე	მოწვეული სპეციალისტი
ეთერი ინწკირველი	მოწვეული სპეციალისტი
მაკა ხარძიანი	მოწვეული სპეციალისტი
ალეკო გელაშვილი	მოწვეული სპეციალისტი